ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება სკოლაში

[1]ნათელა მაღლაკელიძე, [2]დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი

[1]ილიას სახ. უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი

[2]ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია სკოლაში პუნქტუაციის სწავლების საკითხები, ის ტიპობრივი შეცდომები, რომელთაც ხშირად ვხვდებით მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში. პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება წერითი მეტყველების ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი კომპონენტია, მასზე მუშაობა სკოლაში მშობლიური ენის სწავლების ადრეული ეტაპიდან იწყება. პუნქტუაციის შესწავლით მოსწავლე ეუფლება არა მხოლოდ სასვენი ნიშნის ხმარების წესებს, არამედ ამით ეცნობა ენის სინტაქსურ და სტილისტიკურ ბუნებას; პუნქტუაციური ანალიზის პროცესში იგი ნათლად ხედავს – ენაში რა სინტაქსური კონსტრუქციებია შესაძლებელი, როგორ შეიძლება მარტივი შინაარსის გადმოცემა რთული კონსტრუქციებით, რთულისა – მარტივით .

სასვენი ნიშნების გამოყენების თვალსაზრისით მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში უამრავი შეცდომა გვხვდება, რაც ართულებს აზრის სწორად, გასაგებად გამოხატვას, ხოლო მკითხველს კი ხელს უშლის მის სწორად აღქმაში. მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომათა ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სწორედ სასვენი ნიშნების არასწორ გამოყენებაზე მოდის. ტიპიური შეცდომებია: ა) სასვენი ნიშნების დასმა იქ, სადაც ეს არ არის საჭირო. ბ) ერთი სასვენი ნიშნის შეცვლა მეორით, გ) სასვენი ნიშნის დაუსმელობა.

პუნქტუაციაში მოსწავლეები შედარებით კარგად ართმევენ თავს ე. წ. „ცოდნის გამოყენებაზე" ორიენტირებული სავარჯიშოების შესრულებას (გადაწერა, კარნახი). რაც შეეხება სასვენი ნიშნების გამოყენებას თავისუფალი ხასიათის წერით სავარჯიშოებში, აქ გაცილებით უარესი სურათი გვაქვს. მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებას. ანალოგიური სურათი გვაქვს პირველკურსელებთანაც. მათ უმრავლესობას არა აქვს გამომუშავებული პუნქტუაციური უნარ-ჩვევები.

სასწავლო პროცესზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ პუქტუციურ შეცდომათა გამომწვევი მიზეზი ხშირ შემთხვევაში ინტონაციაა; არადა, დღეს უკვე აღარ არის სადავო ის ფაქტი, რომ მთელი რიგი პუნქტუაციური ნიშნების გამოყენება ხდება ენის სინტაქსური თავისებურებების გააზრების საფუძველზე. სკოლაში კი დღეს სინტაქსის (ისე, როგორც მთლიანად გრამატიკის) სწავლების თვალსაზრისით საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს, რაც ასახვას პოულობს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში.

საკვანძო სიტყვები: *პუნქტუაცია, მოსწავლე, სასვენი ნიშნები, უნარ-ჩვევები, სინტაქსი.*

ISSN 1512-1801

წერითი მეტყველების ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი კომპონენტია პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება, რომელზეც მუშაობა სკოლაში მშობლიური ენის სწავლების ადრეული ეტაპიდან იწყება. პუნქტუაციის შესწავლით მოსწავლე ეუფლება არა მხოლოდ სასვენი ნიშნის ხმარების წესებს, არამედ ამით ეცნობა ენის სინტაქსურ და სტილისტიკურ ბუნებას; პუნქტუაციური ანალიზის პროცესში იგი ნათლად ხედავს – ენაში რა სინტაქსური კონსტრუქციებია შესაძლებელი, როგორ შეიძლება მარტივი შინაარსის გადმოცემა რთული კონსტრუქციებით, რთულისა – მარტივით (მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია, 2009, გვ. 73.)...

სასვენი ნიშნების გამოყენების თვალსაზრისით მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში უამრავი შეცდომა გვხვდება, რაც ართულებს აზრის სწორად, გასაგებად გამოხატვას, ხოლო მკითხველს კი ხელს უშლის მის სწორად აღქმას. მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომათა ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სწორედ სასვენი ნიშნების არასწორ გამოყენებაზე მოდის.

ჩვენი მიზანი იყო, პრაქტიკული მასალის საფუძველზე გაგვეშუქებინა, თუ რა უნარ-ჩვევებს ფლობენ მოსწავლეები პუნქტუაციის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით; კერძოდ, გაგვეანალიზებინა:

ა) სასწავლო რესურსები, რომელთაც პუნქტუაციაზე მუშაობისას მიმართავს მასწავლებელი (სწავლების მეთოდოლოგია, სავარჯიშოთა სისტემა, სახელმძღვანელო...),

ბ) მოსწავლეთა ფონური ცოდნა - ცალკეული სასვენი ნიშნების დანიშნულების ცოდნა, მათი ფუნქციების გააზრება,

გ) მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევები სასვენი ნიშნების გამოყენების თვალსაზრისით - სხვადასხვა სახის წერილობით ტექსტებში სასვენი ნიშნების ადეკვატურად გამოყენება,

დ) დასაბუთება-არგუმენტირების უნარი (რატომ გამოიყენა მოსწავლემ მოცემულ შემთხვევაში ეს სასვენი ნიშანი),

ე) ამ მიზნით მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები...

მეთოდიკურ ლიტერატურაში დიდხანს იყო დავა იმის შესახებ, თუ პუნქტუაციის ჩვევებს რა ფაქტორები ედო საფუძვლად და რომელ მათგანს ენიჭება უპირატესობა.

სასწავლო რესურსები - დღეს არავისათვის აღარ არის სადავო, რომ პუნქტუაციის საფუძველი ძირითადად სინტაქსია (ვ. რამიშვილი: გვ. 410). მის მოქმედებას განსაზღვრავს ენის სინტაქსური კონსტრუქციები და სემანტიკურ-სტილური თავისებურებანი. სწორედ ამიტომ პუნქტუაციის წესების ბრმად გადატანა ერთი ენიდან მეორეში არ შეიძლება, რადგანაც თითოეულ ენას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები. აქედან გამომდინარე, სასვენი ნიშნების დანიშნულებაც ამ ენებში რამდენადმე განსხვავებულია (ჯ. ჰარმერი: გვ. 32). ამ მხრივ ქართული ენა საკმაო თავისებურებებით გამოირჩევა, სინტაქსური

ISSN 1512-1801

კონსტრუქციების მრავალფეროვნება, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სიჭარბე მას განასხვავებს ინდოევროპული ენებისაგან და ბუნებრივია, პუნქტუაციასაც აქ სულ სხვა დატვირთვა აქვს, რაც თავისთავად ასახვას პულობს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებშიც.

თავის დროზე პუნქტუაციის სწავლებისას საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებლებს დიდ დახმარებას უწევდა ქართველ მეცნიერ-მეთოდისტთა (ლ. კვაჭაძე, ნ. ბასილაია, მ. თალაკვაძე, ვ. რამიშვილი, რ. შამელაშვილი, ნ. უსტიაშვილი, ლ. წულაძე, ვ. კვირიკაშვილი...) სათანადო კვლევები. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით თავის დროზე პირველი სიტყვა ცნობილმა ენათმეცნიერმა არნ. ჩიქობავამ თქვა (არნ. ჩიქობავა: გვ. 12). მაგრამ მათი ნაშრომების გამოცემის შემდეგ რამდენჯერმე შეიცვალა ქართული ენის პროგრამები და სახელმძღვანელოები; შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ნაცვლად ტრადიციული სწავლებისა (ცოდნაზე ორიენტირება), სიახლეს სთავაზობს სკოლას - ის უნარ-ჩვევებზეა ორიენტირებული. ამიტომაც "ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტებშიც" ნაცვლად იმ საკითხების ჩამონათვალისა, რომელიც უნდა იცოდეს მოსწავლემ, ვხვდებით იმ ინდიკატორების ნუსხას, რომლებიც ამა თუ იმ უნარ-ჩვევის (უნდა შეეძლოს) ფორმირებაზე მიგვითითებს. ასეა პუნქტუაციის შემთხვევაშიც.
VII-IX კლასების „საგნობრივი სტანდარტების" მიხედვით, საბაზო სკოლის დასრულების შემდეგ ამ კუთხით მოსწავლე უნდა ფლობდეს შემდეგ ჩვევებს:

ა) შეეძლოს სხვადასხვა სირთულისა და სხვადასხვა სახის ტექსტების გამართულად წერა და კორექტირება;

ბ) სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად;

ე ს გ - ს მიხედვით, საბაზო კლასებში პუნქტუაციის საკითხთა სწავლება ძირითადად VII კლასშია გათვალისწინებული: „პუნქტუაცია და აზრი, პუნქტუაცია და ინტონაცია, პუნქტუაციის ნიშნების სტილისტური შესაძლებლობები" (ე ს გ, 2011 , გვ. 68). მომდევნო კლასებში ამ საკითხებზე ყურადღება აღარ მახვილდება, იგი განიხილება როგორც წერის საერთო სტრატეგიების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, მათი გამოყენების მხრივ საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს. ძირითადად გამოიყენება ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტების მიხედვით აგებული სხვადასხვა ავტორთა შედეგენილი სახელმძღვანელოები. ე ს გ მიხედვით ლიტერატურული და ენობრივი მასალა ინტეგრირებულად ისწავლება. ამ პრინციპით არის შედგენილი სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოები საბაზო კლასებისათვის, თუმცა მასწავლებელთა ერთი ნაწილი პუნქტუაციის საკითხებზე მუშაობისას უპირატესობას კვლავ ენის ძველ, ტრადიციულ, არაგრიფირებულ სახელმძღვანელოს ანიჭებს (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VIII-IX კლ.)

რადგან პუნქტუაციის საფუძველი სინტაქსია, პუნქტუაციაც სინტაქსთან ერთად შეისწავლება. პუნქტუაციურ უნარ-ჩვევათა ფორმირებაც ძირითადად სინტაქსის

ISSN 1512-1801

ცალკეული საკითხების შესწავლის პარალელურად მიმდინარეობს. მხოლოდ სინტაქსური ანალიზის საფუძველზე ხდება გასაგები ამა თუ იმ სასვენი ნიშნის ხმარება.

სწორედ ამიტომ სასკოლო პრაქტიკაში პუნქტუაციურ ჩვევათა ფორმირებისათვის ფართოდაა გამოყენებული პუნქტუაციური გარჩევა. პუნქტუაციურია გარჩევა, როცა ტექსტის ანალიზი იმის მიხედვით ხდება, თუ სად რა სასვენი ნიშანი იწერება და რატომ. იგი სინტაქსურ გარჩევას ეყრდნობა. წინადადების სტრუქტურის გარკვევასთან ერთად მისი მიზანია სასვენი ნიშნების ხმარების წესთა გაცნობიერება, სასვენ ნიშანთა ხმარების ჩვევის გამომუშავება. სწორედ პუნქტუაციური გარჩევისას ხდება არგუმენტირება-დასაბუთება: სად რა სასვენი ნიშანი უნდა დავსვათ და რატომ (მ. თალაკვაძე: გვ. 21).

მოსწავლეთა ფონური ცოდნის დადგენა - შეცდომათა ტიპებისა და მათი გამომწვევი კონკრეტული მიზეზების დადგენამდე მოსწავლეებს წინასწარ ჩავუტარეთ ანკეტირება, რომლებიც ძირითადად შემდეგ კითხვებს მოიცავდა (ანკეტირებაც და ჩვენ მიერ შემუშავებული სავარჯიშოების პილოტირებაც ჩატარდა 2008-2013 წლებში სასწ. წლებში ქ. თბილისის წმ. ილია მართლის სახელობის საპატრიარქოს სკოლისა და ნიკო ბურის სახ. სათავადაზნაურო კერძო სკოლის უფროს კლასებში, ასევე ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პირველკურსელებთან. ამ კუთხით გაანალიზდა 60-მდე მოსწავლისა და 20 სტუდენტის წერითი ნამუშევარი):

ა) რომელ სასვენ ნიშნებს იყენებთ ყველაზე ხშირად წერისას;

ბ) თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება სასვენი ნიშნების ხმარება;

გ) რა განაპირობებს ამ სასვენი ნიშნების ხმარებას.

გამოირკვა, რომ მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა (58 მოსწავლე, ანუ 96.6%) წერისას ყველაზე ხშირად იყენებს მძიმეს, წერტილს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს; შედარებით მცირე ნაწილი (36 მოსწავლე - 60%) აღნიშნავს, რომ წერისას იყენებს აგრეთვე ორწერტილს; კიდევ უფრო მცირე ნაწილმა (18-მა მოსწავლემ - 30%) აღნიშნა, რომ იყენებენ ტირეს (თუმცა, როგორც წესი, იგი ხშირად ერევათ დეფისში), გამოკითხულთა დიდი ნაწილი (49 - 81.6%) საერთოდ არ იყენებს ისეთ სასვენ ნიშნებს, როგორიცაა: ბრჭყალები, ფრჩხილები, წერტილ-მძიმე, ეს იმით აიხსნება, რომ ამ სასვენი ნიშნების ხმარებას სათანადოდ არ ასწავლიან.

რაც შეეხება წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, წინადადების ბოლოს მათი გამოყენების ჩვევა საბაზო საფეხურზეც მოსწავლეებს უკვე აქვთ.

გამოკითხულთა აბსოლუტურმა (48 - 80%) უმრავლესობამ იცის, რომ სასვენი ნიშნები საჭიროა იმისთვის, რომ აზრი გასაგები იყოს, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს მათ მართებულად გამოყენებას; რაც შეეხება სასვენი ნიშნების გამოყენების მიზეზს, უმრავლესობის აზრით (32 მოსწავლე - 19.2%), მათი გამოყენება საჭიროა იმიტომ, რომ ასე მოითხოვს ზეპირმეტყველება - პაუზა, ინტონაცია; მხოლოდ 26 მოსწავლის აზრით (15.6%), ამას მოითხოვს წინადადების აგებულება; 4-მა (2.4%) პასუხი ვერ გაგვცა ამ კითხვაზე.

ISSN 1512-1801

მოსწავლეთა ნაწერებში უმთავრესად გვხვდება შემდეგი სახის პუნქტუაციური შეცდომები:

1. სასვენი ნიშანი არ არის დასმული იქ, სადაც საჭიროა, 2. სასვენი ნიშანი უადგილოდ არის გამოყენებული, 3. ერთი სასვენი ნიშანი შეცვლილია მეორით.

X-XI კლ. მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცალკეული სასვენი ნიშნის ხმარებისას ყველაზე გავრცელებული შეცდომებია:

ა) მძიმის არასწორად დასმა, ბ) მძიმის არდასმა, გ) ორწერტილის არასწორად გამოყენება, დ) ტირეს არდასმა ან არასწორად გამოყენება (ტირე და დეფისი მოსწავლეებს, როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთში ერევათ).

ისიც აღსანიშნავია, რომ პუნქტუაციურ შეცდომათა რაოდენობა ორთოგრაფიულთან შედარებით კლასების მიხედვით კი არ კლებულობს, არამედ მატულობს კიდეც.

რით ხსნიან ჩვენი მეთოდისტები ამ მოვლენას?

ა) პუნქტუაცია მხოლოდ სინტაქსის კურსთან დაკავშირებით ისწავლება სულ რაღაც 1-2 წლის მანძილზე. არადა, პუნქტუაციურ ჩვევებზე მუშაობა არც ერთ ეტაპზე არ უნდა შეწყდეს. ბ) პუნქტუაციურ ჩვევათა დაუფლება უფრო მეტად მოითხოვს ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარს, ვიდრე ორთოგრაფიისა.გ) მასწავლებლები ხშირად ჩქარობენ პუნქტუაციური წესების გაცნობისას. ერთსა და იმავე გაკვეთილზე ზოგჯერ რამდენიმე წესსაც კი აცნობენ და შემდეგ აღარ ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამ მიმართულებით, კმაყოფილდებიან მხოლოდ წესების დაზეპირებით. დ) რაც მთავარია, მოსწავლეები ვერ ფლობენ სინტაქსის სასკოლო კურსს, კარგად არ აქვთ წარმოდგენილი ენაში შინაარსისა და ფორმის ერთიანობა, აზრისა და გრძნობის წერილობით გამოხატვის ენობრივი საშუალებანი, რასთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული სასვენი ნიშნების შესწავლა. კერძოდ:

1) ნათელი წარმოდგენა არა აქვთ წინადადებათა სახეებზე რაგვარობისა და აგებულების მიხედვით; 2) შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებს ვერ განასხვავებენ არაერთგვარი წევრებისაგან; 3) არ იციან განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; 4) ვერ ახერხებენ აზრის გადმოცემას სხვადასხვა კონსტრუქციის წინადადებით; 5) სასვენ ნიშნებს ვერ უკავშირებენ წინადადების შინაარსსა და კონსტრუქციას...

სხვადასხვა სახის წერილობით ტექსტებში სასვენი ნიშნების ადეკვატურად გამოყენება - ჩვენ ვიკვლევდით X-XI-კლასელთა/სტუდენტთა მიერ (ამ ეტაპზე ისინი უკვე იცნობენ სასვენი ნიშნების ხმარების ყველა შემთხვევას) წერით მეტყველებაში სასვენი ნიშნების გამოყენების შემდეგ შემთხვევებს:

1.სასვენი ნიშნების ხმარება ერთგვარ წევრებსა და გამოთქმებთან; 2.სასვენი ნიშნების ხმარება შერწყმულ წინადადებაში; 3.სასვენი ნიშნების ხმარება განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან; 4.სასვენი ნიშნების ხმარება რთულ ქვეწყობილ და თანწყობილ წინადადებებში.

სასვენი ნიშნების ხმარება ერთგვარ წევრებთან :

ISSN 1512-1801

ა) მაცალკევებელკავშირიანი შერწყმული წინადადება

მოსწავლეებს უნდა დაესვათ 8 სასვენი ნიშანი (,) მძიმე ერთგვარ წევრებსა და გამოთქმებთან. აქედან:

- მძიმე არასწორად დასვეს 4 შემთხვევაში;
- გამოტოვეს 3 შემთხვევაში.

2) მაპირისპირებელკავშირიანი შერწყმული წინადადება:

მოსწავლეებს უნდა დაესვათ 3 სასვენი ნიშანი (,) მძიმე შერწყმულ წინადადებაში. აქედან:

- მძიმე სწორად დასვეს ყველა შემთხვევაში.

გ) სასვენი ნიშნები განმაზოგადებელ სიტყვასთან:

მოსწავლეებს უნდა დაესვათ 19 სასვენი ნიშანი: მძიმე - 14, ორწერტილი - 3, ტირე - 2. აქედან:

- მძიმე არასწორად არის დასმული 7 შემთხვევაში;
- გამოტოვებულია 9 შემთხვევაში;
- ერთი სასვენი ნიშანი (:) ორწერტილი შეცვლილია მეორე სასვენი ნიშნით (,) მძიმით. ასეთი შემთხვევა 2 იყო.

გ) სასვენი ნიშნების ხმარება განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან:

მოსწავლეებს უნდა დაესვათ 10 სასვენი ნიშანი: მძიმე (7), ძახილის ნიშანი - 3. აქედან:

- მძიმე არასწორად არის დასმული 1 შემთხვევაში;
- გამოტოვებულია 4 შემთხვევაში.
- ერთი სასვენი ნიშანი (!) ძახილის ნიშანი შეცვლილია მეორე სასვენი ნიშნით (.) წერტილით. ასეთი შემთხვევა მე-4 წინადადებაში იყო.

დ) სასვენი ნიშნები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში .

მოსწავლეებს უნდა დაესვათ 5 სასვენი ნიშანი - (,) მძიმე.

ნამუშევრების ანალიზისას გაირკვა, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მოსწავლეებს არც ერთ წინადადებაში არ დაუშვიათ შეცდომა.

ე) სასვენი ნიშნები რთულ თანწყობილ წინადადებაში:

ISSN 1512-1801

მოსწავლეებს უნდა დაესვათ 5 სასვენი ნიშანი (,) მძიმე რთულ თანწყობილ წინადადებაში. აქედან:

- არასწორად (უადგილოდ) დასვეს 3 შემთხვევაში;
- 1 შემთხვევაში კი გამოტოვეს.

შესრულებული სავარჯიშოების ანალიზი არ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მოსწავლე უკვე იცნობს ამა თუ იმ სასვენი ნიშნის ხმარების კონკრეტულ შემთხვევებს და აქვს პუქტუაციური უნარ-ჩვევები. მთავარია, როგორ იყენებს ის მათ ტექსტების აგებისას. ტექსტის შექმნისას კი მოსწავლის მთელი ყურადღება ორიენტირებულია არა მართლწერაზე ან პუნქტუაციაზე, არამედ შინაარსზე, მკითხველთან წერის საშუალებით კომუნიკაციაზე. ამ დროს მოსწავლე ნაკლებად ფიქრობს სასვენ ნიშნებზე. პუნქტუაციის ესა თუ ის წესი კი შესწავლილად შეგვიძლია ჩავთვალოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცოდნის ავტომატიზაცია, ანუ მოსწავლე სასვენ ნიშნებს იყენებს პრაქტიკულად ასეთი ტექსტების აგების პროცესში.

ჩვენ ვეცადეთ ამ მიმართებითაც გაგვეანალიზებინა უფროსკლასელთა წერითი ნამუშევრები. სასვენ სასვენ ნიშანთა ფაქტობრივი მდგომარეობის დასადგენად შემოწმდა მოსწავლეთა 20 ნამუშევარი. წერითი სამუშაოს თემად წარმოდგენილი იყო „ღირსეული პიროვნების სახე აკაკი წერეთელის ,,გამზრდელის" მიხედვით." (მე-10 კლასი). აქ მოსწავლეები არ იყვნენ გაფთხილებულნი, რომ საგანგებო ყურადღება მიექცეოდა მათ მიერ სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების ჩვევას. მათი ყურადღება ამჯერად გადატანილი იყო წერილობითი ტექსტის აგების ძირითად მომენტებზე (ამბის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზი, საკუთარი პოზიციის დაფიქსირება...); თუმცა წერის დამთავრების შემდეგ მათ მასწავლებელმა ტრადიციულად შეახსენა, რომ გადაეკითხათ ნაწერი და ჩაესწორებინათ შემჩნეული შეცდომები (მათ შორის პუნქტუაციურიც).
ნამუშევრების დასრულებისას შედეგი ასეთი იყო:

საერთო მონაცემების მიხედვით სასვენი ნიშნები უადგილოდ იყო დასმული 26 შემთხვევაში; გამოტოვებული იყო 18 სასვენი ნიშანი (მძიმე, ტირე, ორწერტილი, ძახილის ნიშანი); ერთი სასვენი ნიშანი შეცვლილი იყო მეორე სასვენი ნიშანით 12 შემთხვევაში. ასე, მაგ: ხშირ შემთხვევაში მძიმე (,) შეცვლილი იყო წერტილით (.); ორწერტილი (:) და ძახილის ნიშანი - წერტილით (.).

აქვე კორექტირების გარეშე გთავაზობთ ამონარიდებს პირველკურსელთა მიერ შესრულებული თხზულებიდან *"ჩემი გალაკტიონი"*, სადაც მრავლად გვხვდება სხვადასხვა სახის პუნქტუაციური შეცდომა (ამჯერად მხოლოდ ისინი გავასწორეთ):

1.მისი ლექსი „უსიყვარულოდ", ჩემთვის უსაყვარლესი ლექსია. 2.თვით, უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ. 3. მე მას ვაფასებ და მიყვარს. კიდევ იმ მიზეზითაც რომ ტაბიძის პოეზიაში სამშობლოს პირველი ადგილი უკავია.4. გალაკტიონი მუდამ იქნება სანამ დედამიწაზე ხალხი იარსებებს.5. მისი შემოქმედება, იგივეა ჩემთვის რაც უდიდესი საგანძური.6. გალაკტიონი, ჩემი უსაყვარლესი პოეტია, სხვა პოეტებთან

ISSN 1512-1801

შედარებით და ამიტომ მის მიერ შექმნილ, არაჩვეულებრივ ლექსებს, ყოველთვის გულდასმით ვკითხულობ. 7.შესაძლოა მისი რომელიმე ლექსი, ნებისმიერ წუთს გამახსენდეს. 8.განსაკუთრებით მიყვარს მისი„თოვლი" ეს არის ის ლექსი რომელზე საუბარიც დაუსრულებლად შემიძლია. 9.იგი თოვლს აიგივებს იმ სისპეტაკესა და სიწმინდესთან რომელიც, ალბათ ყველა მანდილოსანში უნდა სახლობდეს.10. პოეტმა რომელმაც შექმნა, ასეთი არაჩვეულებრივი, ლექსები. 11.რაღაც დიდის ძიებაში იყო, ისეთივე გრანდიოზულის როგორც მისი შემოქმედებაა. 12. დიდ სიყვარულს გამოხატავს ლექსებში რომლებიც სამშობლოს მიუძღვნა. გალაკტიონ ტაბიძე უსვამს თავის თავს კითხვას რას მისცემს სამშობლოს მისი ქნარი?..

როგორც ვხედავთ, პუნქტუაციურ შეცდომათა რაოდენობა აქ საკმარისზე მეტია. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს სტუდენტებს, რომელთაც უკვე ჩაბარებული აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უჭირთ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება ტექსტების აგების პროცესში. ეს ფაქტორი მიგვითითებს, რომ მათ პუნქტუაციური ჩვევები არ აქვთ გამომუშავებული და ამ მიმართებით კვლავაც სჭირდებათ მუშაობა.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით ჩვენი კვლევა კვლავაც გრძელდება. ამჯერად ჩვენი მიზანია, ვიკვლიოთ სასვენი ნიშნების ხმარებისას მოსწავლეთა მიერ დასაბუთება-არგუმენტირების უნარი და ამ საკითხების სწავლებისას მათი მოტივაციის ამღლების საშულებანი.

<u>გამოყენებული ლიტერატურა</u>

1. მ.ინასარიძე, მ.ნაჭყებია, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბილისი, 2009 წ.
2. ვ.რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბილისი 1966 წ.
3. **Jeremi Harmer,** The Practice of English Languege Teaching, Longman, Third Edition, 2005,
4. არნ. ჩიქობავა, ტიპიურ შეცდომათა ანალიზი საშუალო სკოლის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში, ჟურნ. ,,კომუნისტური აღზრდისთვის", #11-12, 1934, გვ. 5-12.
5. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011 წ.
6. აკ.შანიძე, ლ.კვაჭაძე, ქართული ენა, VIII კლასის სახელმძღვანელო, განათლება, 2006წ.
7. აკ.შანიძე, ლ.კვაჭაძე, ქართული ენა, IX კლასის სახელმძღვანელო, განათლება, 2006წ.
8. მ. თალაკვაძე. ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, განათლება, 1975წ.